გაფრინდი, არწივო, გაფრინდი

აფრიკული ამბავი

მოთხრობილი ქრისტოფერ გრეგოროვსკის მიერ

ერთ საღამოს, როცა მწყემსებმა სოფელში საქონელი მორეკეს, აღმოჩნდა, რომ ერთი ხბო აკლდათ. იმ ღამეს ძლიერი გრიგალი ამოვარდა.

გათენდა თუ არა, ხბოს პატრონი დაკარგული საქონლის საძებნელად წავიდა. ჯერ მინდორში გავიდა, მერე მდინარის პირას, ლელიანებში, მერე კი კლდეების უკან, მჩქეფარე წყალთან ეძებდა თავის ხბოს.

შემდეგ გლეხი მაღალი მთის კლდოვან ციცაბო ფერდობს აუყვა და ერთ დიდ კლდეს გარს შემოუარა იმ იმედით, იქნებ ხბომ გრიგალს თავი აქ შეაფარაო.

კლდის შვერილზე მას უცნაური სანახაობა დახვდა – ერთი-ორი დღის გამოჩეკილი არწივის მართვე ძლიერ ქარს ბუდიდან გადმოეგდო.

გლეხი მართვეს მისწვდა, ხელებში ჩაიწვინა და სახლისაკენ გაემართა. მოვუვლიო, – იფიქრა.

სახლს რომ მიუახლოვდა, ბავშვები ყვირილით გამოცვივდნენ მის შესახვედრად: „ხბო დაბრუნდა!” – ყვიროდნენ ისინი.

გლეხს გაუხარდა. შვილებს არწივის მართვე აჩვენა და შემდეგ ფრინველი ფრთხილად მოათავსა საქათმეში, ქათმებთან და წიწილებთან ერთად.

„არწივი ფრინველების მეფეა, – თქვა მან, – ჩვენ კი მართვეს ისე გამოვზრდით, რომ წიწილა გახდეს”.



ამიერიდან არწივი წიწილებთან ერთად ცხოვრობდა ისე, როგორც წიწილები ცხოვრობენ. მაგრამ როდესაც გაიზარდა, აშკარა იყო, რომ ის წიწილებისაგან ძალიან განსხვავდებოდა.

ერთ დღეს გლეხს მეგობარი ესტუმრა. მან წიწილებს შორის უცხო ფრინველი შენიშნა.

„ეს ხომ წიწილა არ არის, ეს არწივია!”

გლეხს გაეღიმა მის ნათქვამზე და უთხრა: „რას ამბობ, ეს ნამდვილი წიწილაა, შეხედე, წიწილასავით დადის, წიწილასავით კენკავს, წიწილასავით აზროვნებს, ნამდვილი წიწილაა!”

მაგრამ მეგობარი თავისას არ იშლიდა: „დაგიმტკიცებ, რომ არწივია”.

გლეხის შვილები სტუმარს ფრინველის დაჭერაში დაეხმარნენ. ის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. მაგრამ კაცმა არწივი მაღლა, თავს ზემოთ ასწია და მიმართა: „შენ არა ხარ წიწილა, შენ არწივი ხარ! შენი ადგილი მიწაზე კი არა, ცაშია! გაფრინდი, არწივო, გაფრინდი!”

ფრინველმა ფრთები გაშალა, მოიხედა, დაინახა წიწილები, რომლებიც იქვე ხორბალს კენკავდნენ, კაცს ხელიდან დაუსხლტა და საკენკს დააცხრა.

„ხომ გითხარი, წიწილაა-მეთქი”, – თქვა გლეხმა და გადაიხარხარა.

მეორე დღეს, გამთენიისას, გლეხს ძაღლების ყეფა შემოესმა. გარეთ, სიბნელეში, ვიღაც იძახდა. გლეხი სწრაფად მივიდა კართან. ისევ მისი მეგობარი მოსულიყო. „მოდი, კიდევ ერთხელ ვცდი, მოიყვანე ფრინველი,” – სთხოვა მან.

– კი მაგრამ, იცი, რა დროა? ჯერ არც გათენებულა!

– გთხოვ, მოიყვანე ფრინველი და წამომყევი.

ბოლოს და ბოლოს გლეხმა უხალისოდ გამოიყვანა ფრინველი, რომელსაც წიწილებთან ერთად ტკბილად ეძინა. ისინი გზას გაუყვნენ და მალე სიბნელეში გაუჩინარდნენ.

– სად მივდივართ? – იკითხა ნამძინარევმა გლეხმა.

– მთებში, იქ, სადაც მართვე იპოვე.

– კი მაგრამ, ღამით, ამ დროს?!

– ამ დროს იმიტომ მივდივართ, რომ ჩვენმა არწივმა მთაში მზის ამოსვლა ნახოს და მზეს აჰყვეს ზეცაში, იქ, სადაც მისი ადგილია.

მათ გადაიარეს მინდორი, გადალახეს მდინარე. წინ მეგობარი მიდიოდა. „ვიჩქაროთ, — თქვა მან, — თორემ მზე ამოსვლას დაგვასწრებს.”

როდესაც მათ მთაზე ასვლა დაიწყეს, ცას პირველი ნათელი შეეპარა. ცაზე ღრუბლის ქულები ჯერ გავარდისფრდა, შემდეგ კი ოქროსფრად გაბრწყინდა. ზოგან გზა უკვე სახიფათო იყო — მთის კალთას ეკვროდა, კლდის ვიწრო შვერილებზე გადიოდა და ბნელ ნაპრალებში უხვევდა. ბოლოს მეგობარმა თქვა: „ესეც ასე, მოვედით”. მან კლდის ქიმიდან გადაიხედა და დაინახა, რომ მათ მთის ძირს ათასობით მეტრი აშორებდათ. ისინი უკვე ძალიან ახლოს იყვნენ მწვერვალთან.

მეგობარმა ფრთხილად მიიყვანა ფრინველი კლდის პირას, აღმოსავლეთისკენ შეაბრუნა და ლაპარაკი დაუწყო. „ეგ მარტო ქათმების ენაზე ლაპარაკობს”, — ჩაიქირქილა გლეხმა.

მაგრამ მეგობარი არწივთან ლაპარაკს განაგრძობდა. ესაუბრებოდა მზის შესახებ, უამბობდა, თუ როგორ ანიჭებს მზე სიცოცხლეს ქვეყნიერებას, როგორ მეფობს ზეცაში, როგორ ანათებს ყოველ ახალ დღეს. „უყურე მზეს, არწივო! როდესაც მზე ამოვა, შენც აფრინდი, შენი ადგილი ცაშია და არა მიწაზე!” მზის პირველი სხივები მთის წვერს დაეცა და უეცრად ქვეყნიერება განათდა.

მზე დიდებულად ამობრწყინდა. მშვენიერმა ფრინველმა ფრთები გაშალა და მზეს მიეგება, უცებ იგრძნო თავისი ბუმბულის სითბო. გლეხი ჩუმად იყო. მეგობარმა ისევ შესძახა: „შენი ადგილი ცაშია და არა მიწაზე. გაფრინდი, არწივო, გაფრინდი!” მან უკან, გლეხისკენ დაიხია. გარშემო ყველაფერი გარინდულიყო. არწივმა თავი მაღლა ასწია, ფრთები გაშალა, წინ გადაიხარა და კლანჭებით კლდეს ჩაეჭიდა.

თვითონ თითქოს არც განძრეულა. ჩამოქროლილმა ქარმა, ადამიანზეც და ფრინველზეც უფრო ძლიერმა, დიდებული არწივი კლდეს მოსწყვიტა და მაღლა, ამომავალი მზისკენ აიტაცა. არწივი მზის კაშკაშა სინათლეში გაუჩინარდა, რათა აღარასოდეს ეცხოვრა მიწაზე, წიწილებთან ერთად.